საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/130 " 15 " სექტემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. შონიას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 4 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 8 სექტემბერს მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბადრი შონიას განცხადება.

ბადრი შონიას აქვს მოსამართლედ მუშაობის 9-წლიანი გამოცდილება, მათ შორის აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე სხვადასხვა დროს მას დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისა და დმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბადრი შონია დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ 2020 წლის 16 სექტემბრიდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი